გამარჯვება ოთხმოცდამეათე წუთზე

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 12 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) – “ქაირათი” (ალმა–ათა) 2:1.

“დინამო”: ქანთარია, მიქაბერიძე, ჩივაძე, ჭედია, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ჩქარეული, შენგელია.

“ქაირათი”: უბიკინი, იაროვენკო, ჯუმანოვი, ევდოკიმოვი, ვოლგინი, ნიკიტენკო, ბერდიევი, ლედოვსკიხი, სტუკაშოვი, შოხი, ფეხლევანიდი.

30–ე წთ. სულაქველიძე, 56–ე წთ. შოხი, 90–ე წთ. გუცაევი.

მე–12 წთ. ჩქარეულის ნაცვლად – მახარაძე, მე–80 წთ. მიქაბერიძის ნაცვლად – ცაავა.

მსაჯი: ალექსანდრ კირილოვი (მოსკოვი).

გააფრთხილეს ვოლგინი.

კარში დარტყმა – 19:11 (10:2), ზუსტი დარტყმა 7:4 (4:2), საჯარიმო მოედნიდან – 7:6 (2:1).

კუთხური – 8:1 (6:1).

დაჯარიმდნენ თბილისელები – 12 (7), ალმა-ათელები – 13 (9).

ბევრი გუნდისთვის სტუმრად თამაშის დროს მთავარი მიზანი საკუთარი კარის უსაფრთხოებისთვის ზრუნვაა. “ქაირათმა” ამ პრობლემის გადაწყვეტა მეტოქის ფორვარდთა პერსონალური მეურვეობით სცადა. მატჩის პირველი წუთიდანვე შენგელია და გუცაევი ნიკიტენკოს (№6) და იაროვენკოს (№2) მარწუხებში მოექცნენ. საფიქრებელი იყო, რომ შემდგომი მოვლენები ამ ტაქტიკური სვლის კარნახით განვითარდებოდა.

პერსონალურად, ერთი–ერთზე თამაშს თავისი დადებითი მხარე აქვს, მაგრამ უარყოფითიც საკმარისად ახლავს და, როცა მეტოქე ამგვარ ტაქტიკას შემოგვთავაზებს, ბუნებრივია, პირველ ყოვლისა სწორედ ის უარყოფითი მომენტები უნდა გამოიყენო. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ საამისოდ შენგელიამ და გუცაევმა საკმაოდ ბევრი გააკეთეს – ხშირად იცვლიდნენ ადგილებს, დროდადრო სულაც ათავისუფლებდნენ ცენტრს: თავიანთი მეურვეები მინდვრის ნაპირებში გაჰყავდათ. ამ ვითარებაში ინიციატივა და თამაშის მთელი სიმძიმეც ნახევარმცველებს, უფრო ცენტრალურ ნახევარმცველებს უნდა ეკისრათ. თამაშის მიხედვით ჭედიას ამგვარი ფუნქცია არ ჰქონდა, უშუალოდ მატჩის მსვლელობისას კი ნახაზის შეცვლა, მით უფრო გამოუცდელი ფეხბურთელისთვის, ცოტა არ იყოს, ძნელი საქმეა (თუმცაღა, მთელი მატჩის მანძილზე თავი არ დაუზოგავს). სულ სხვაა კაკილაშვილი. იგი კარგა ხანია სტაბილურად თამაშობს და ალმა-ათელებთან მატჩში თავისი სიტყვა უნდა ეთქვა. სამწუხაროდ ასე არ მოხდა. ტაქტიკური დავის მასპინძელთა სასარგებლოდ გადაწყვეტა, ნაწილობრივ მაინც, სვანაძესაც შეეძლო, მაგრამ იგი მიქაბერიძის მიერ გაშიშვლებული ზონის დაცვით უფრო იყო დაკავებული. სხვათა შორის, თბილისელი მცველის შეტევებს შედარებით იოლად აუღეს ალღო სტუმრებმა და შემდგომში (მეორე ტაიმში) საპასუხო შედეგებისთვისაც კი გამოიყენეს ეს პერიოდი. მკითხველს შევახსენებ, რომ ერთადერთი გოლი თბილისელთა კარში ამ ფლანგიდან შეტევის შემდეგ გავიდა. ამ

ფლანგიდან იერიშს მოჰყვა ორი მეტად სახიფათო მომენტიც, რომლებიც ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა გოლით დასრულებულიყო.

კაკილაშვილი ფაქტიურად მხოლოდ 27–ე წუთზე ჩაერთო თამაშში და პირველი ასე თ ისე საინტერესო კომბინაციაც სწორედ მაშინ გათამაშდა – შენგელიას დარტყმა ლამაზი ნახტომით მოიგერია მეკარე უბიკინმა. საბოლოოდ მაინც, ეს უკვე მერამდენედ, ისევ სულაქველიძემ გამოიჩინა ფხა – ჯერ იყო და შორიდან ძლიერი დარტყმით მოსინჯა სტუმართა კარი, მერე კი გუცაევთან გათამაშებული კომბინაცია გოლით დააგვირგვინა – 1:0.

მეორე ტაიმის მე–8 წუთზე იაროვენკოსა (№2) და ფეხლევანიდის (№11) მიერ გათამაშებულ კომბინაციას წუთის შემდეგ სტუმართა კიდევ ერთი სახიფათო იერიში მოჰყვა – ლედოვსკიხის მიერ დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. მატჩის 56–ე წუთზე "ქაირათმა" მაინც მიაღწია თავისას – ფეხლევანიდის პასს ზუსტი მისამართი მოუძებნა შოხმა – 1:1.

ასეთ შემთხვევაში მასპინძელი გუნდი ყველა ღონეს ხმარობს დაკარგული ქულის დასაბრუნებლად. "დინამოს" მოქმედებაში საამისო სურვილი, რა თქმა უნდა, იგრძნობოდა, მაგრამ გუნდის შეტევები იმდენად სუსტი იყო, რომ მაყურებელმა, რომელიც, სხვათა შორის, უკანასკნელ წამებამდე დარჩა ტრიბუნაზე, თითქმის დაკარგა გამარჯვების იმედი.

თბილისელთა სუსტ თამაშზე საგანგებოდ ვამახვილებ ყურადღებას, თორემ მატჩის 90–ე წუთზე გატანილი გოლის ლოგიკურობაში სულაც არ მეპარება ეჭვი. არ მეპარება თუნდაც იმიტომ, რომ ეს გოლიც, პირველის მსგავსად, ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციიდან დაწყებული იერიშის შედეგად გავიდა – თამაშის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე მინდორზე გამოსული ცაავა ერთბაშად ჩაება ბრძოლაში. მან რამდენჯერმე სცადა კომბინაციის დაწყება. უკანასკნელი ცდა იღბლიანი გამოდგა: ზუსტი გადაცემა შენგელიამ ზუსტადვე დააბრუნა ცენტრში და გუცაევმა თავური დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა "ქაირათის" კარში.

ირაკლი ბერიაშვილი.
"ლელო", 14 აგვისტო, 1984 წ.